

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირაგვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირაგვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИШИНСЪ. Въ редакцію газ. „Дროაბა“.

ბაზმის ფასი: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულის, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დღეობისა-გებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაას-წიროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელო სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროაბა

ცალკე ნომერი ღირს ორშაბათი

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

დღე მთავარის ღუნაის არმიის მთავარ-სარ-დლის ტელეგრაფმა დიდი მთავარის ქაეკასიის არ-მიის მთავარ-სარდლის სახელობაზედ.

ფოთი, 15 იანვარს. საღამოს 7 საათ-ზე მოვიდა აქ ცეცხლის გემი „ძოს ტან-ტინი“. შემდეგ მიიღო რა ამბავი, რომ მტრის ხომალდები მოვიდნენო, გემმა გასწია ბათუმისაკენ. დილის 3 საათზე ფოთში ისმოდა ბათუმის მხრიდან ზარ-ბაზნის სროლა და ლაღმის ხმა, რომ-ლიდამაც სჩანს, რომ „ძოსტანტინეს“ ნამდვილათ ჰქონია მტრის ხომალდებ-თან შეტაკება. ამ საგანზე დაწერილ-ბული ამბავი ჯერ არ მოსულა. საფიქ-რებელია, რომ „ძოსტანტინემ“ ხევას-ტაპოლისაკენ გასწია.

სეპასტოპოლი, 16 იანვარს. კატერებ-მა „ჩესმამ“ და „სინაპმა“ მთვარიან და-მეში დაათვალიერეს ბათუმის 7 ხომალ-დი; კატერები დაეცნენ ერთს დიდს ხო-მალდს და ლაღმით დაღუპეს, დაიღუპა აგრეთვე მომეტებული ნაწილი იქ მყო-ფი ხალხისა. ჩვენი კატერები მშვიდო-ბით დაბრუნდნენ.

შიპაპა, 15 იანვარს. სკო ბელეგმა დაათ-ვალიერა აღრიანოპოლის სიმაგრეები და დარწმუნდა, რომ ეს სიმაგრეება ძალიან კარგია; აქ 26-ზე მეტი ზარბაზნები ნახეს. ბურკო იწერება, რომ იმის ჯარებს 53 ზარბაზნი წაურთმევია მტრისათვის.

შიპაპა, 14—16 იანვარს. მე მოვედი მსკი-ზ ა გ რ ა ს; ხვალ ს ე ი მ ე ნ ლ ი-ში მივიღივარ. ლენ. სკობელევისაგან მი-ვიღე ამბავი, რომ აღრიანოპოლში სრუ-ლი მშვიდობიანობა არის დამყარებული; ყველა მალაზიები გაიღხნაო და ცხოვრე-ბა ქალაქში თავის რიგზე მიდისო. სკო-ბელეგმა დახედა, გაამაგრა და დაიჭირა

აღრიანოპოლის ის სიმაგრეები, რომელ-თაც სტამბოლისაკენ აქეთ პირი.

არზრუმის ახლო-მახლო ალაგებში ყინვა თან-და-თან ძლიერდება; ბუქი კი 12 იანვარს აქეთ აღარ ყოფილა. იშმა-ილ-ფაშა ძრიელ ავით გახდა სახადით.

(„ხალხთა-შარის ტელეგრაფის სააგენტოს“)

ლონდონი, 13 იანვარს. ღერბი და ქარნარეონი სამინისტროდამ გამოდიან. მმართველობა 5 მილიონის გირვანქა სტერლინგის დახარჯვის უფლებას თხოვს პარლამენტს.

„Daily News“ ამბობს, რომ ხმელთა-შუა ზღვის ფლოტის უფროსს ბრძანება მოსვლია, რომ, რადგან რუსის ჯარები ზალიზოლზე მიდიან, ამის გამო ბლო-ხორთან გამოიყვანოს ზღვის ნაპირზე ჯარები, დაიცვას ზალიზოლი და ამას გარდა ექვსი დიდი ხომალდი მზათ ჰყავ-დეს, რომ მალტიდამ ზალიზოლში ჯა-რები მოიყვანოს.

ლონდონი, 14 იანვარს. „Times“-ისა და „Daily News“-ის სიტყვით, მორი-გების პირობები არის შემდეგი: ბოლგა-რიაში ქრისტიანი ლუბერნატორები დაი-წმინებიან და ამ ქვეყანას მიეცემა უფ-ლება თვითონვე განაგოს თავის შინაგა-ნი საქმეები; ამგვარივე უფლება მიენიჭება ბოსნიას და ჰერცეგოვინას; სრული და-მოუკიდებლობა რუმინის, სერბისა და ჩერნოგორიის; რუსეთს დაეთმობა ბე-სარაბი, ბათუმი, შარსი, არზრუმი და ამათი მახრები; ოსმალეთი გადაიხდის კონტრიბუციას (სამხედრო ხარჯს); ღარ-დანელის თაობაზე მეროპის კონგრესმა უნდა მოილიპარაკოს.

სტამბოლი, 13 იანვარს. ოსმალეთმა მიიღო მორიგების ყველა პირობები გარდა ბოლგარიის სამხედროებისა და ღარდანელისა, რომლის თაობაზედაც მეროპის კონგრესი უნდა შესდგეს.

ლონდონი, 13 იანვარს. ოსმალეთის დანდობილ პირებს ბრძანება მოუვიდათ სტამბოლიდამ, რომ მოაწერონ ხელი მორიგების პირობებს. ამბობენ, რომ მცრიგების პირობებს ორივე მხარე დღეს, 13 იანვარს, მოაწერენ ხელსაო.

ბარლინი, 14 იანვარს. ბერმანიისა და ავსტრიის წინადადებით ინგლისმა ბეზი-ყის ნავსადგურში დააბრუნა თავის ფლო-ტი; ორთავე სახელმწიფომ მხარი მის-ცეს რუსეთის მორიგების პირობებს, რა-დგან ეს პირობები მეროპის უმთავრეს სახელმწიფოებისაგან უნდა იქმნენ დამ-ტკიცებულნიო.

ოქის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდან

მუხა-მსტატმ, 12 იანვარს. („როგების“ კორესპონდენცია). მუშინ გამოგვიცხა-დეს ბრძანება გამცემული უფ. რიონის ატ-რიადის უფროსის ლენ.-ლეიტ. მკლობ-ქიოსაგან. რომ შობულეთის ატრიადის უფროსად ინიშნება ლენ.-ლეიტ. შაძა-როვი. ჩვენ არ ვიცით ჯერ—აღ მიდის ანუ რა ადგილზე ინიშნება აღრიანდელი უფროსი შობულეთის ატრიადისა ლენ.-მაიორი ლენინგოვი, რომელმაც თავის მხნეობით საზოგადო ყურადღება და სალ-დათებისაგან სიყვარული დაიმსახურა...

თქვენი გაზეთის მეხუთე ნომერში წა-ვიკითხე, სხვათა შორის, ერთს უცხო ქვეყნის გაზეთისაგან გადმობეჭდილი ამ-ბავი, ვითამც ჩვენი (შობულეთის) ატ-რიადი ერთხელ კიდევ მი-დგომოდეს ცხის-ძარს ასაღებათ ამ მოკლე ხანში, მაგრამ უნაყოფოდ, და ისევ უკან და-ბრუნებულიყოს.

ეს ამბავი ტყუელია; დიდი ხანია, რაც ჩვენ მტერთან არათუ ზარბაზნის, თით-ქმის თოფის სროლაც არ გვექონია. და ამის მიზეზი გახლავთ საშინელი ცუდი ამინდები, გაუწყნარებელი წვიმა, ქარი და თოვლი; ნახევარი არშინი თოვლი სძევს აქეთკენ ამ ქამად და ზოგან, გან-საკუთრებით მთებში, უფრო ღრმაც.

ზუბი ყველგან გაუფუჭებულია; ცხე-ნებიც კი ვერ დაიარება, არათუ უფრ-გუნები და არტილერიის ურემები. მუხა-მსტატეს დაბინავებულ ჩვენს ჯა-

რებს ძალიან გაუჭირდათ ცხოვრება ამ სიცოცხლისა და ცუდი ამინდების გამო, რადგან საზამთრო ბანაკები იქ ერთობ ცოტა იყო დამზადებული. მაგრამ ახლა კი აქ თითქმის ერთი კაციც აღარ არის, ყველა ხუტ-შანხე გადაიყვანეს, სადაც, როგორც ამას წინათაც გაცნობეთ, ჩვენ ჩინებულნი, თბილი საზამთრო სახლები და ბანაკები დაგვიტოვა ღერვი-ფაშამ. მრთი ნაწილი ჩვენი ქართული ქვევითა დრუყინისა მდ. პინტრივის გაღმაც არის დაბანაკებული მტრის სათვალთვინებლად.

მზურგეთში ამ ჟამად საშინელი სიძვირეა ყველაფრისა, გარდა ხორცისა; ხორცი კი აღრინდელზე ძვირად არ იყიდება, რადგან, როგორც მოგვხსენებთ, აქეთკენ პირუტყვის ჭირია და აღრე რომ ძროხა სამ-ოთხ თუშნად იყიდებოდა, ახლა თუშნად-თორმეტ მანეთად ისყიდება; ღვინო ბოთლი ორ აბაზათ არის, პური ძველებურად, ვარია სამი-ოთხი აბაზი, ფუთი სიმინდი ოთხი აბაზი, თივა ფუთი 2 მან., სიმინდის ჩალა — 1 მან. აშობენ, სამტრედიის სტანციასზე ძრეულ ბევრი არის თივაო, მაგრამ გადმოტანა სჭირს, ფუთის თოთხმეტი-ხუთმეტი შაური ჯდება, რადგან საქონელი ჭირით დაიხრცა.

8. ნიკოლაი შვილი

ამ ხუთ იანვრამდინ ორთავე ბრძოლის ველზე—მეროპის და აზიისა რუსების მხრით სულ 82,624 კაცი არის დახოცილი და დაჭრილი.

ზოგიერთებს უყვირს, რომ პრზრუმი-დამ და ბათუმიდამ არაფერი არ მოგვდის. ამის მიზეზი უბრალოა, ის რომ ამ მხრებისაკენ ამ ჟამად, საშინელი სიცივისა და თოვლის გამო, არავითარ სამხედრო მოქმედება არ ხდება, და ორივე მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პირდაპირ არიან გაჩერებულნი უსაქმოდ.

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 8 იანვარს მიღებული შარსიდან:

„მთელი რუსეთი თაყვანს უნდა სცემდეს აქაური ჯარების გამირობას. ძველად წარმოსადგენია ის გაჭირება, რასაც სოლანლულის ატრიადი ითმენს ამ ზამთარში. არა აქეთ თბილი ტანისამოსი, არა აქეთ სამყოფად სასმელ-საჭმელი, დოქტორები და წამლები ნაკლებად.

შველა ამ უბედურების შემსუბუქებისათვის ზრუნავს ჩვენი კორპუსის უფროსი ლენ.-ლეიტ. ლორის-მელიქოვი, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ გაჭირებულ ჯარებს მძიმე ხვედრი შეუქსუბუქოს და საცა და რაშიაც საქირა, დაეხმაროს.“

მეროპის ბრძოლის ველიდან

სტამბოლიდან შენის გაზეთს „Presse“-ს მიუღია 7 იანვარს შემდეგი დეპეშა:

„რუსის ჯარებს დღეს უნდა დაეჭირათ

აღრიანოპოლი, რომელიც ოსმალოებმა მიატოვეს. აღრიანოპოლიდამ გამოსული ოსმალოს ჯარი კი ჩატალჯიში გროვდება, სტამბოლის მხრით, რომელიც ოსმალოეთის დედა-ქალაქის ერთ დამცველ ციხეთაგანია.“

ლონდონის გაზეთს „Daly News“-ში იწერებია:

„თუ რუსებისაგან აღრიანოპოლის დაჭერის შემდეგაც არ მოხდა მეგრძოლოთ შუა მორიგება, მაშინ რუსებს ორი რამ დარჩებათ კიდევ ამ ომის გასათავებლად და ოსმალოეთის საბოლოოთ დასამარცხებლად: ბალიზოლის აღება, როგორც ღოდანელის წყლის კლიტისა, და სტამბოლის აღება.“

„აღრიანოპოლიდამ ბალიზოლამდინ სულ 176 ვერსია, სტამბოლამდინ კი 216 ვერსი და ამ გზას რუსის ცხენოსანი ჯარი 5—6 დღეში თავისუფლად გივლის და ქვევითა კი 10—12 დღეში.“

„ამნაირად, საფიქრებელია, რომ თუ მორიგება არ მოხდა და თუ რუსებს გზაზე მოწინააღმდეგე მტერი არ დახვდათ, მაშინ ამ იანვრის დამოვეს ისინი მარძაპრილოს ზღვასთან იქნებიან და სტამბოლს მიაღებებიან.“

ნიგლისის სამინისტროს გაზეთს „Standard“-ში მოყვანილია შემდეგი სიტყვები:

„როგორც რუსის ჯარები აღრიანოპოლიდამ გამოვლენ და სტამბოლისაკენ გასწევენ, ჩვენთვის, ნიგლისისთვის, დადგება ისეთი მდგომარეობა, როდესაც გულ-ხელ-დაკრებილი გაჩერება და ბრძოლის გულ-გრიოლად ცქერა აღარ შეგვეძლება. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები და ეს ზომები მარტო ის კი არ იქნება, რომ პარლამენტმა რამდენიც ეჭირება იმდენი ფულის დახარჯვის უფლება მისცეს მმართველობას, —საჭიროა, რომ იმ წამსვე მთავრობამ ომი გამოუცხადოს რუსეთს და ხმელთა-შუა ზღვაში ფლოტს ბრძანება მისცეს, რომ სტამბოლისაკენ მომავალი რუსის ჯარები შეაჩეროს.“

თითქმის ესვე ჰაზრი გამოთქვა ნიგლისის პარლამენტის სხდომაში მარკოზ სალსბიურნი, რომელიც რუსეთის მომხრედ ითვლება:

„მშის ტალღა თან-და-თან უახლოვდება იმ ადგილებს სადაც შესაძლებელია, რომ ნიგლისის ინტრესებს რაიმე ზიანი მიეცეს. ამის გამო, თუ პარლამენტი ენდობა სამინისტროს, იმან უნდა მისცეს მას საშუალება ამ ინტრესების დასაცველად. თუ არა, გამოაცხადოს და სხვა სამინისტრო აიჩიოს და ახლანდელი გადადგება.“

სტამბოლელი კორესპონდენტი გაზ. „Times“-სა წერება, რომ ერთი კვირის განმავლობაში რუმელიდამ აქ 200,000 გამოქცელი კაცი და ქალი მოვიდაო. მთავრობის განკარგულებით იმათ სამინისტროებში, სახაზინო და კერძო სახლებში აუჩინეს ბინაო. ამ გარეშე ხალხის მოგროვას გამო სტამბოლში ამ ჟამად საშინელი შიმშილობა ჩამოვარდაო.

საქართველო

დღიური

* * ამ ხუთშაბათს პირველად გრძნობს ქალაქი, რომ ჩვენი ქვეყანა, ომის გამოცხადების შემდეგ, სამხედრო მდგომარეობაში იმყოფება: ამ დღეს ქალაქში, სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩამოაღრჩობენ ორ ძმათ შუზანოვეს, რომელთაც ამას წინათ ავაზაკობის დროს მოჰკლეს ერთი პოლიციის სალდათი სოლოლაკზე.

* * ბაზეთის „ქაეკაზის“ მეათე ნომერში დაბეჭდილია „შენიშვნები ლაღესტანზე“, რომლის ავტორი სრულის საფუძვლით ამტკიცებს, რომ საზოგადოთ ჩვენი მხრის მთიულებსა და განსაკუთრებით ლაღესტანის დასამწვიდებლად და სამუდამოთ დასამორჩილებლად ყველაზე უფრო მომეტებულ სარგებლობას ხალხში განათლების გავრცელება და უკეთესი სასამართლო წყობილობის დაფუძნება მოიტანსო.

ავტორი ამბობს, რომ მხოლოდ სრულიად გულ-გაქვავებული და უგუნური კაცები ამტკიცებენო, რომ ამ მთიულების მორჯულება არ შეიძლებაო, ყველას ისა სჯობიანო, რომ ან ამოვწყვეტოთ ისინი და ანუ სადმე გადავასახლოთო; არც კაცთ-მოყვარებითი გრძნობა და არც პოლიტიკური ანგარიში ამგვარ მხეცურ ჰაზრებს არ ეთანხმებაო. ნახევარი მილიონი მცხოვრებლების არც ამოწყვეტა შეიძლება და არც სადმე გადასახლებაო.

მს ხალხი მხნე, პატროსანი და შრომის-მოყვარე ხალხიაო; მხოლოდ გონიერი ზომებით და ღმობიერებით შეიძლება იმათი დამორჩილებაო და წარმატების, მოქალაქობრივ გზაზედ დაყენებაო, და ერთად-ერთი საშუალება ამისთვის იმათში განათლების გავრცელება არისო.

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ ყოველად-უსამღდელოესი ექსარხოსი საქართველოში აპირებს ამ პირველი თებერვლიდამ რუსეთში წასვლას...

* * მს თითქმის ორი კვირაა, რაც ყასბებსა და მეწვრიმალებს ქალაქის პოლიცია და ექიმი აზიდენებს და აყრევენებს აყროლებულს, გაფუჭებულს ხორცს; მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენი ყასბევი ძალიან, ნერვიული ხალხია: ისინი თავისას მაინც არ იშლიან და საძაგელ ხორცს ჰყიდიან, იმასაც 12—15 კაპეკად გირვანქას...

* * ჩვენ გვითხრეს, რომ თუილისში ჩამოსულა ერთი ვილაც მოსკოველი ვაჭარი, რომელიც წიგნისა და გაზეთების



საკითხების (ბიბლიოთეკის) გახსნას აპირებსო.

* ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ უფ. ბ. თუმანიშვილისაგან ახლად გამოცემული ერთი პატარა ქართული წიგნი, სახელია „პლმანანი.“ სანამ უფრო დაწერილებით მოვილაპარაკებდეთ ამ წიგნზე, მოვიყვანოთ ჯერ იმის შინაარსი: აქ დაბეჭდილია: შვიდი ლექსი. პლექს. შავკევაძისა, — შორე წანდენი — მოლიერის სამ. მოქმედებიანი კომედია, სამი ლექსით მიხ. ბირთვ. თუმანიშვილისა. — მკონომიური სურათები (გადასახლება საფრანგეთი, ინგლისი), — შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალთვრება, — და პატარა წერილი დიდ საგანზე.

ეს წიგნი უფ. ბ. ხელაძის სტამბაშია დაბეჭდილი გვარიანათ, სუფთად, და ისე იდგება ორ აბაზათ.

„დროებას“ კორექსორდენსია

ზამო-იხარითი, 5 იანვარს. ამ ჩვენს უფლებში ბოლოს დროს მეტის-მეტად გახშირდა ცუდ-კაცობა. ათას ნაირი ეშმაკური ოსტატობა გამოიგონეს ავაზაკებმა და ისე ოსტატურად ქურდობენ და მტაცებლობენ, რომ სამართალი ვერ ჰკიდებს მათ ხელს და პოლიცია რას უზამს.

წარმოიდგინეთ მათა გამბედაობა, მათ მოინდომეს უფხდის სასამართლოს და სამმართელოს სახლების დაწვაც და ერთი მათგანი ყველა გამოძიებული საქმეებით კიდევ გადასწევს. პოლიციის სახლს მალე მიეშველენ, თორემ იმასაც ის ბედი მიანიჭეს კინალამ.

აბა რალას იზამს ამის შემდეგ უფხდის უმფროსი და მოსამართლე! შევლას იმედი აქვს დაკარგული დახმარებაზე და თავის თავს თვითონ ყარაულობენ.

შერაფერი ვერ მოიფიქრეს ამისთანა ცუდი საქმეების მოსასპობელად.

ამ შორაპნის უფხდში არის ერთი საზოგადოება, რომელშიაც ამისთანა სახელგანთქმული ავაზაკები და ბოროტი პირები ლეგიონობით არიან. ამ საზოგადოების ერთი სოფლის გლეხებს ჩაუყენეს ყაზახი-რუსები შინ, მაგრამ ჯერ არაფერი გამოსულა-რა. მამასახლისი მითთვის ხარჯს საზოგადოებას ახდევინებს; თითო ყაზახზე თითო ღვდალი ყოფილა გაჩენილი სოფლის მოხელეებისაგან და სხვა ყოველიფერი სასმელი და საქმელი. ამ სოფელს მეტის-მეტად გაუჭირდა საქმე ამ ხარჯისაგან, რადგან ქათმები ვეღარ იშოვეს და წავიდნენ უფხდის ფროსთან სათხოვნელად: აღარ შეგვიძლია ამის მეტი, დაგვიხსენი ამ ზეკუცი-

საგანო. უფხდის უმფროსმა ეს ყაზახები გადიყვანა სხვა სოფელში და მისწერა მამასახლისს — ყაზახებს არა აქვს უფლება უფულოთ რამე წაიღონ გლეხებთან გარდა შეშისა და ბინისაო და ეს აღარ გაბედოთ ამის შემდეგო. დიდა საზარალოა ეს განკარგულება სოფლის მოხელეებისათვის, რადგან ვეღარ გაიბეყებინან; მაგრამ კიდევ მოახერხებენ რასმეს...

აქ ერთი ძლიერ უკანონობა ხდება. მანა მარტო გლეხები ქურდობენ ჩვენში, რომ იმათ უყენებენ ზეკუციას? უპიცირესი ნაწილი აქაურ ტუსღებში გლეხებია და მეტი კეთილშობილები. შინ არ იცის, რომ გლეხს მარტო ქურდობა არ შეუძლია, რომ „კეთილ-შობილები“ არ უწყობდნენ ხელს! მართა სიტყვით, გლეხი მათი მოსამსახურე არის და თავი მომქმედი პირი კი სულ სხვა. ამ შემთხვევაში გლეხები ისჯებიან მიტომ, რომ აზნაურები ქურდობენ! ზღვები აღდგენენ განჩინებას და ნიადაგ აგზავნიან საპირისკენ თავის მოძმეებს, რომლისათვისაც შეუნიშნავსთ ცუდი საქმე, მაგრამ აქედამ არაფერი არ გამოდის. თაეი მომქმედი პირები შინ არიან და გლეხებს მათზე არაერთარი უფლება არა აქვსთ. მაშორეთ საზოგადოებას აზნაური ქურდები და თქვენ ნახავთ, რომ გლეხებში ქურდობა მოისპობა. რას ერჩით მარტო გლეხს? ჩაუყენეთ ყაზახები ბოროტ აზნაურებსაც, თუმცა ამისაგან ბევრი მაინც-და-მაინც არა გამოვა-რა...

თუ ეს უწყსობა დარჩა დიდ-ხანს და მთავრობამ ღონისძიება არაფერი მოიგონა, დარწმუნდით, რომ ორმოც-დაათ წელს შემდეგ აქ კაცს ცხოვრება აღარ შეეძლება ქურდებსაგან.

მართა სოფლის ნაუჩიტლარმა, არ არის დიდი ხანი, ერთი მეტუტკის გაცარცვა მოინდომა; მაგრამ ვერა უნახა-რა. ბოლოს მოსაკლავათ მივარდა, მაგრამ მეტუტკემ ზედი-ზედ მიაყოლა რევოლვერი და დასჭრა; ეს ავაზაკი ეხლა დაქერილია. დიდი აყალ-მყალი იყო იმ შკოლაზე, სადაც ის მსახურებდა. ძლიერ მოაშორა საზოგადოებამ ეს მასწავლებელი თავიდან და ეღირსა შკოლის დახურვას. ბევრი ლანძღეს საზოგადოება შკოლის დახურვისთვის, მაგრამ ამისთანა მასწავლებლის ყოლას სწორეთ შკოლის დახურვა სჯობდა...

აქნაირად ყოველი წოდების კაცი ქურდობს და ავაზაკობს; მაგრამ გლეხები ისჯებიან, და სხვანი შორიდან კი იცინიან იმათზე...

N.

საბაასრქ

ვაძირის მღვდელს ილ. კობიძეს („დროება“ № 220)

დავითნი ხელში გქონია და სახარება კი არა გცოდნია, კურთხეულო მამაო. „შენიღვან იტყვი ამას, თუ სხვამ გასწავლა“ — ამ სიტყვით მუსრავის მაცხოვარი ფარისევლებსა.

„მაგარინოს უფალმან კაცისაგან ცრუსა“ და გიხსნას შენ მისგან, მაგრამ როგორ ამტკიცებთ, რომ თქვენ ღვინოს არ მიირთმევთ და ლოთობას თავს არიდებთ! თქვენ რომ ჯოხი გქონდათ, ის ჯოხი ეხლა რათ უჭირამს ხელში დ. ჩ. — შეილ მღვდელს? თქვენ აღარ გახსომთ, რადგან ძრიელ „უკეთურათ“ ესვენევით ორლობეში: ღვინით დამთვრალი იყავით ნათლობაში, წამოხვედით დამთვრალი და შინამდინ ვეღარ მიადწივით, ორლობეში გზაზე მოისვენეთ; მაშნაანურმა კაცმა გაიარა, თქვენი ჯოხი მოეწონა, ავართვა და თავის მღვდელს უბოძა. „ლუკმა გავარდა, ჯამში ჩავარდა“ — მღვდლის ჯოხი ისევ მღვდელს ერგო.

მაქირულ სუდიას სახლში რომ თამალობა გასწივით და ერთათ გაიყენით ისე, რომ აღარ ტყულობდა, თქვენ აგვესოთ „ბაგენი თქვენივე ხელითა“ წითელი ღვინის შეღებულთა და ძროხის არტალებით ჩაქედილითა, და მაშინ „ბაგეთა“ თქვენთა დაიხსნეს თქვენი ასოტანი დიდი საპანისაგან, რომელიც „ბაგით“ სუდიას კალთაში მიართვით!

თქვენ თვითონ იყავით თამადათ დ. ჯ. — შეილის სადილზე და არა ის უბედური პრიეტნიკი, რომელსაც თავი გაუტეხეთ. — მის ატყუებთ, მამაო, რომ ამბობთ, რომ შაქარი მაშინ ვაკურთხეთო. შაქარი კი არ აკურთხეთ, სუფრა ვაკურთხებინესთ და თქვენც იქ მოიკეცეთ. შაქარი გატეხილი იყო ნიშნობაშივე.

თუ თქვენი პრიეტნიკი ისე დამთვრალი იყო, რომ „უფხზე ვეღარ დგებოდა“ — მაშ ეკკლესიაში როგორღა მოგვხმარა და წესი როგორღა აღასრულეთ, ან სამოციქულო ხალხის წინ როგორღა წაიკითხა, რატომ იქავე არ წაიქცა? თაეი თუ თითონ მიართყა ეკკლესიას და გაიტეხა, მაშ რატომ შუბლი არ აქვს გატეხილი, ან დალურჯებული გრძლიათ რათა ჰქონდა თავზე, როდესაც დოქტორმა შეამოწმა?

სიღნაღი, 2 იანვარს

კავკასიის საგვიგონო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებენ ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოდ მიიღებენ.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30-50 მანეთამდე არის.

მიღება ავთომყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავთომყოფობისათვის:

უფრო დღე, კვირას გარდა, 10 საათიდან 11-დან—დოქტორი მანათი.

მთხშობათობითა და შაბათობით 12 საათიდან 1-მდე—დოქტორი რემერტი.

სამშობათობით და შაბათობით 11-დან 12-მდე—დოქტორი პლანუსი.

საყმაწვილო ავთომყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდან 12-მდე და გვირაობით 10-დან 11-მდე—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა: რემერტის, პლანუსის და მანათის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალბო ავთომყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავთომყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

ახალი ტაქსა ბირჟის ივოსსკიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობა ში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვის დამდანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

ერთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდან—ნეთლულს	80 „	50 „
— მუშტიდამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან.	20 „	90 „

რკ. გზიდან ნეთ.—2 „ — „ 1მან.50 „
 — დამოქმედინ — 1 „ 50 „ 1 „ — „
 — ქალაქ. ყველგან 1 „ — „ 70 „
 რკ. გზამდინ ქალაქ.— 80 „ — 50 „
 — ნეთლულიდან 1 „ 50 „ 1 „ — „
 რკინის გზამდინ და
 უკან — — — 1 „ 30 „ — 90 „
 შენიშვნა ა). მრ ფუთამდინ ბოგაყისათვის ივოსსკიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.
 შენიშვნა ბ). ნაშუალამდინ ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განსხვავებული
 თფილისის
სახელოსნო კლუბის სტარშინების რჩევის გადაწყვეტილებით,
საზოგადო
ქრება ყველა წევრთა ხელ-ახლად დაინიშნა 18 იანვრისათვის, საღამოს 7 საათზე.

იყუდება
 უ. პართანოვის წიგნის მაღაზიაში.
მუშაპის ხარო
 მღაბური ამბავი
 ალ. სა. მესხიევისა.
 გამოცემული ზაქარია შიჭინაძისაგან.
შასი ერთი შაური
 მგით უნახავი ქალი
 და
 თორმეტნი თვენი
 (ძველებური ამბავი)
 გამოცემული ზაქარია შიჭინაძისაგან.
 შასი ერთი შაური

მუთაისში—ბალახანში იხილება
სამოსახლო სიძვირე
 ლები ერთად და ცალკე-ცალკე.
 შერო დაწერილებით შეტყობა შეიძლება მუთაისში სვიმონ ივანეს ძეს მესხთან და თფილისში მლისაბედ ს. მარჯანოვთან (პრენალის ქუჩაზე, № 56), შამაზოვის სახლები.

გაკვეთილები
 შრანცუზულის მინსა. პრაქტიკული და თეორიული სწავლა. შრამატიკა და ლაპარაკი ფრანცუზულს ენაზედ. მსურველს შეუძლიან მიმართოს მუთაისში, უფ. ზაქარია მანდელაკის სადგომში.

ქართული სახალხო სიმღერები
 შეგროვილი და გამოცემული ზაქ. შიჭინაძისაგან.
 წიგნი პირველი.
 ფასი ყველგან ერთი შაური

ჩაის მაღაზია
კ. ვ. კოკოვისა,
 რომელიც იმყოფებოდა ბალახანის პროსპექტზე, შიოგვის სახლებში, ამ უმად გადატანილია მრავნის მამდანამ, ტარსატურის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნთვანი ჩაი ნებაეს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.
 თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
რაქვან ბაღინიძე

ვისაც ჰსურს თავის რქიანი სამწველი და ღორები მარგაბელი საქმებით ამოაჩინოს, შეუძლიან მიმართოს ბორჯომის არყის ზავოლში.

რკ. გზა.	დღლა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან.	კაპ	გაზანდა	მან	კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი ხიტევა თფილისიდან:		პეტერბურგი, 14 იანვარს.			თფილისი, 16 იანვარს:		
მცხეთა	10 11	6 27	- 68 -	38	მუთაისს, შოთს	1 —	ერთი მანეთი ღირს:			შქვ. თეთ. მანჯისა, ფთ.	2 15	
ბორი	11 58	9 43	2 40	1 23	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50 —	ლონდონში 23 პენსი.	78		შქვილი წითელი	1 80	
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდგასს, მოსკოვს	2 —	პარიჟში 263 სანტიმი.	62		ჭერი ფუთი	1 45	
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშავს	2 —	მსკონტი(სარგებლისფასი)	71		ბაზა მრევისა, ფუთი	8 60	
შვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3 —	ბანკის ბილეთი 5%	95		— ამერიკისა, ფუთი	8 80	
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	მოგებიანი(პროცენტისა	232 25		ბაენტილი ბაზა ფუთი	12 60	
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებონ . (მეორე ხესხი)	229 5		მატული თუშური ფთ.	8 —	
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	ფოტობა		მირაოს ფურცლები:			— მარჯამისა ფთ.	4 80	
ფოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ს ფილ. საზნ. ბანკისა.			აბრჭამი ნუხური სტ.	4 80	
შოთი	9 13				მ.შურ.—პარასკ. და ორშ. შაბეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან:		ხერსონის ბანკი	83 25		ჭონი, ფუთი	4 80	
ახ.-სენაკი	—		1 18	- 66	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.შურგეთს—ორშ. და პარასკ.		მოსკოვის	83 50		ჭონის სანთელი ფუთი	8 —	
სამტრედია	11 16		2 61	14	ფოტობა		აქციები:			სტეარინის სანთელი, ფ.	14 —	
რიონი	12 13		3 41	69	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.შურგეთს—ორშ. და პარასკ.		მ.დგისს სავაჭრო ბანკის	177 —		ხორცი ძროხისა, ლიტ.	— 90	
შვირილა	1 18	ღამე	3 98	2 21	ბ) მუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.შურგეთს—ორშ. და პარასკ.		შოთი-თფილ. რკინ. გზის	— —		— ცხვისა, ლიტრა	— 90	
სურამი	5 12		1 10	5 33 2 96	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		შავი ზღვის ცეცხ. გემების	527 —		სპირტი, გრადუსი	— 15	
ხაშური	5 39		1 37	5 84 3 24	ლია წიგნის	4	ქავაზის და მერკურის	225 —		შაქარი, ბროც. ფუთი	9 20	
ბორი	7 5		4 8	3 6 4 9	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	პირფ. საზღვევ. საზღვ.	745 50		— ფხვნილი ფუთი	8 60	
მცხეთა	8 50		6 59	9 8 5 4			პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50		შავა გრვალის, ფუთი	— 75	
თფილისი	9 31		7 56	9 75 5 42			მოსკოვის საზღვევ. საზ.	268 —		წყითი ქუნჯულისა ფუთ.	14 —	